


სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 38 ენკენისთვე 3, 1895 წ. № 38


მისს კრაო.

**შინაარსი:** ცხინვალის სამეურნეო განყოფილების დაარსება.—სხვა-და-სხვა ამბები.—საყურადღებო ამბები.—თამარშენის საყინულე გ. წერეთლისა.—ბაშია-ჩუკი (ისტორიული მოთხრობა) აკაკისა.—ბანჯგლიანი ქალები და კაცები.—მომავალში საქართველოს შვილთა მოქმედების პროგრამა ბალტაზარისა.—ზოგიერთი ფიქრი ხომლელისა.—ვინ ვის წამებს ცილს? ქართველი-მკითხველისა.—წერილი რედაქციის მიმართ.—კერძ. განცხადებები.

გამოვიდა და დაურიგდა მ-IV-ე ნომერი „ჯეჯილი“ ხელის მომწერლებს.

## ცხინვალში სამეურნეო განყოფილების დაარსება

აგვისტოს 18 ცხინვალის საზოგადოებამ იდღესასწაულა ნორმალურ სასწავლებელთან სამეურნეო განყოფილების გახსნა. ადგილობრივმა საზოგადოებამ დიდი ერთობა და თანაგრძნობა გამოიჩინა იმ დღეს.

აკურთხეს ახალი სასეირნო ბაღი და შენობა როტონდა. პარაკლისი იყო გადახდილი ქართულად, ქართულივე ხორო გალობდა. შემდეგ გაიმართა სადილი, რომელზედაც დაესწრნენ წოდების განურჩევ-

ლათ და ყველანი ერთი საზოგადო აზრით იყვნენ გამსჭვალულნი, რომ ამ კეთილს დაწყებას შესაფერი ბოლო მისცემოდა. აქ სუფრაზე ძმურათ ატარებდენ დროს ქართველი, სომეხი, ოსი, ურია, სამღვდელოება, თავად-აზნაურობა და გლეხობა. არავითარი წოდებათა და გვართა განკერძოება არ ეტყობოდა. ყველანი ერთს საზოგადო საქმეს შეერთებინა და ეს საზოგადო საქმე იყო გონება-განვითარების საქმე—ნორმალური შკოლის და სამეურნეო განყოფილების კეთილათ წარმატება. სადილზე წარმოითქვა რამდენიმე გრძნობიერი სიტყვები, რომლებშიაც გამოიხატა და თვალ-საჩინოთ დასაბუთდა მეთაურების მხნეობა, თავგანწირული მოქმედება, რომელსაც ასე კარგათ დაებოლოვებინა ცხინვალის განყოფილების განათლების საქმე. სადილზე სხვათა შორის დალიეს სადღეგრძელოები წარჩინებულთა პირთა, რომელნიც მოპატიჟებულნი იყვნენ, მაგრამ სხვა-და-სხვა შემთხვევის გამო ვერ დაესწრნენ. კამიტეტს მათგან დეპეშები მოუვიდა შემდეგი შინაარსისა: მივულოცავ ცხინვალელებს სამეურნეო განყოფილების დაარსებას. დიდათ ვწუხვარ, რომ ავათმყოფობის გამო ვერ დავესწარი.

სომხის არხიმანდრიტი ელისე

ღმერთმა მისცეს წარმატება თქვენს ახალს დაარსებულს სასწავლებელს სასარგებლოთ მცხოვრებთა.

იანოვსკი

გთხოვთ, გადასცეთ მადლობა ცხინვალის მაზრის გლეხობას გახსენებისათვის. ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ დავესწარი სამეურნეო განყოფილების გახსნაზეო.

ტფილისის გუბერნატორი შერვაშიძე

მოგილოცავთ ცხინვალის საზოგადოებას სამეურნეო განყოფილების გახსნისათვის. ღმერთსა ვთხოვ, რომ ეს პირველი ნამყენი გახარებულიყოს გორის მაზრაში და მოეტანოს ნაყოფი ცხოვრებაში.

ილია წინამძღვრიშვილი

სადილზე სხვათა შორის მიწვეულ იქმნენ გ. წერეთელი, ალ. ხახანაშვილი და ალ. როინაშვილი.

თამადათ ერთ-ხმათ ამორჩეულ იქმნა მეჯვრისხევის მამასახლისი თ. ასიკო ერისთავი. ამან დალია ცხინვალის ბოქაულის ე. გუგუშვილის სადღეგრძელო და სხვათა შორის შემდეგ ნაირათ დახასიათა მისი მოღვაწეობა. ცხინვალს გუგუშვილის წინათაც ბევრი პოლიციის ბოქაულები უნახავს და გამოუცდია მათი მოქმედება, მაგრამ არც ერთს მათგანს არ უფიქრია ცხინვალის საკეთილდღეოთ ისეთი რამე გაეკეთებინა, რომ კვალი დაეჩინა. მანამდის არამც თუ ცხინვალის უჩასტკაში, უშიშრათ და უიარაღოთ გავლა არ შეიძლებოდა, არამედ თვით ქალაქ ცხინვალშიაც კი შიშობდენ ყოველთვის თავ-დასხმას და აკლებას. დღეს, მადლობა ღმერთს, ბ-ნ გუგუშვილის მეცადინეობით ცხოვრება და ალებ-მიცემობა უზრუნველი გახდა, გზები მიუვალ ალაგებში დაკეთდა, თვითონ მინგრეულ-მონგრეული ცხინვალი წესიერებაში მოვიდა, ზოგი ქუჩები გზა-ტკეცილათ გადიქცა, ზოგზედაც ქვა იფინება; მაგრამ ყველაზე უფრო დიდი ღვაწლი ბ-ნ ელ. გუგუშვილს მიუძღვის იმაში, რომ ის არა მარტო ფხიზელი ადმინისტრატორია, არამედ ნამდვილი ქართველი და თავის ქვეყნის გულ-შემატკივარი კაცი ყოფილა. მისი მეოხებით დღეს ჩვენ გვაქვს შვენიერი სასეირნო და მოსეირნეთა კარგი ჰაერით დამტკბობი ბაღი ლიახვის პირათ, აქვე მისი მეთაურობით და ინიციატორობით აგებულ იქმნა როტონდა, სადაც ცალკე საკრებულო დარბაზია, ცალკე სათეატრო. სცენაა მოწყობილი თავისი მორთულობით და ცალკე ოთახია საქალებო შკოლისთვის. თეატრის სცენაზე დღისით სახალხო სამკითხველო იქნება. რაც კი წარმოდგენიდან შემოვა, დანიშნულია საქალებო შკოლის ხარჯის გასასტუმრებლათ. თვით სასეირნო ბაღის შემოსავალიც აქ სახალხო სამკითხველოსა და საქალებო შკოლის ხარჯების გასასტუმრებლათ არის დანიშნული. ყოველივე ეს მოახერხა ბ-ნმა გუგუშვილმა არა იმითი, რომ ის იყო ბოქაული, არამედ იმითი, რომ გულ-შემატკივარი მამულიშვილია და მის თხოვნას არც ქალაქის მცხოვრებლები და არც სოფლებისა უყურადღებოთ არ ტოვებენ. ზოგს ფულით აღმოუჩენია შემწეობა, ზოგს ნივთიერათ, ზოგს თავისი შრომით და ამ რიგათ დაუგვირგვინებია საუცხოვოთ საზოგადო დაწესებულებათა საქმე. სადილზე იყვნენ მოპატიჟებულნი ყოველ სამამასახლისოდან ათ-ათი წარმომადგენელი, აგრეთვე მრავალნი მოქალაქენი რომელთაც კი რაიმე შემწეობა აღმოეჩინა ამ საქმეში.

სადილზე დაესწრნენ სხვათა შორის სახალხო მასწავლებელთა დირექტორი გრომჩევი და ინსპექტორი ბოგდანოვი. იმათაც რამდენიმე წამაქეზებელი სიტყვები უთხრეს ელ. გუგუშვილს და მის მიერ დაარსებულს კამიტეტს, რომელსაც უკისრია, როგორც შკოლის შენობის აგება, ისე როტონდისა და ბაღის გაკეთება. კამიტეტის თავმჯდომარეთ ყოფილა თვითონ ე. დ. გუგუშვილი, წევრნი კამიტეტისა: კნეინა მაჩაბლისა, ეფემია ანდრიას ასული, მამასახლისი ცხინვალისა ივ. ცერაძე, მასწავლებელი ხიმშიაშვილი, აგრონომი იოსელიანი, ექიმი ცისკარაშვილი, ნოტ.

ლუკაშევსკი, შკოლის მზრუნველი შერმაზანაშვილი, შკოლის ზედამხედველი ჯაფარიძე, სადვთო წერილის მასწავლებელნი კაპანაძე და ტერ-აბრამოვი. მთავრობამ შეაწია ათას-ექვსასი მანეთი ყოველ წლობით, ცხინვალის საზოგადოება წირავს აგრეთვე საერო დადგენილებით (პრიგოვორით) ხუთას მანეთს ყოველ წელს, კერძო შემოწირულებაც საკმაოთ არის. ცხინვალის უჩასტკის გლეხ-კაცობამ შრომა არ დაიზარა და ამ გვარათ ალაგეს საერთოთ თვალ-საჩინო დაწესებულებანი: შვენიერი ნორმალური სასწავლებლის შენობა, რომელიც დამჯდარა სამი ათას შვიდასი მანეთი და როტონდა სასეირნო ბაღითურთ. ახალ-გახსნილს სამკითხველოს ბევრმა შეწირა წიგნები და სხვათა შორის ალ. როინაშვილმა ოცდა თუთხმეტი მანეთის და ათი შაურის წიგნები. ხოლო სხვა კერძო პირების შემოწირულების სიას დავსტამბავთ შემდეგ ნომერში. საღამოს რვა საათზე გაიმართა წარმოდგენა ახალ სცენაზე, რომელსაც ამშვენებდა დეკორაციის ფარდა. იმაზე იყო დახატული თამარ მეფე თავისი ამალით და შოთა რუსთაველი, რომელიც ძღვნის მეფეს თავის თხზულებას ,,ვეფხის-ტყაოსანს''.

სცენის მოყვარეთა: თ. ზაალ მაჩაბელმა, თ. ლუარ. ციციშვილმა, თ. კოლ. ერისთავმა, თ. ილ. ფავლენიშვილმა, ტერ-სტეფანოვმა და სხვ. წარმოადგინეს თამარ-ბატონიშვილი, რომლის გამო დიდათ კმაყოფილი დარჩა საზოგადოება; წარმოდგენაზე დაესწრენ აუარებელი მაყურებელნი, რომელნიც არც კი ეტეოდენ როტონდის დარბაზში. შემდეგ წარმოდგენისა გაიმართა ლეკური და ხუთ საათ დილამდის არ მოშლილა მხიარულება.

დამსწრე

## სხვა-და-სხვა ამბები

ტფილისის გუბერნიის წინამძღოლი უცხადებს თავად-აზნაურობას, რომ ეკენისთვის 11 წმიდა ნიკოლოზის საყდარში კრწანისის სოფელში იქნება ასი წლის მოსახსენებელი წირვა და პანაშვიდი ქართველ გმირთა სულის მოსახსენებლათ, სპარსეთის შაჰის ალა-მალომეტ ხანის შემოსევის დროს რომ დაეცენ ამ ველზე მეფე ერეკლეს მხედართ-მთავრობას ქვეშ.

იმედია, ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი ალექსანდრე და მამა ლეონიდი იქნებიან მწირველნი ქართულ ენაზე. წმინდა მარინეს ეკლესიის ქართველ მგალობელთა გუნდი, აგრეთვე თავად-აზნაურობის შკოლის მოწაფენი ვაამშვენებენ მღვდელ-მოქმედების წესს ქართული გალობით. უეჭველია არც შარაძის მგალობელთა გუნდი მოგვაკლებს თავის გალობას.

ჩვენის აზრით აქვე წაკითხული უნდა იქმნეს ამ ბრძოლის ამბავი და საზოგადოთ ამ შემთხვევის ისტორიულათ დაფასება.

კარგი იქნება, რომ არაგველნი და თუშ-ხევსურნი მოვიდენ და დაესწრონ ამ დღესასწაულზე თავისი ეროვნული ტანთ-ცმულობით და იარაღით.

* * *

ამას წინათ ერთს ეპისკოპოსს შემოევლო აბხაზეთის ეპარხია, რომელშიაც სამურზაყანოც ირიცხება და დაბა ოჩამჩირის წმიდის გიორგის ეკლესიაში რომ შებძანებულიყო, საკურთხეველზე დაენახა პატარა ვერცხლის ბუდე. ეს რა არისო? უკითხავს ყოვლად სამღვდელოს.

მოუხსენებიათ, რომ იმ ვეცხლის ბუდით ძველათ ტყავზე ნაწერი ქართული სახარება დაუფლავთ მიწაში შიშიანობის გამო. დიდი ხანი არ არის, რაც მიუგნიათ ეს წიგნი, მაგრამ სახარება მიწაში დამპალიყო და მხოლოთ ეს ვეცხლის ბუდე გადარჩენილიყოვო.

— დროც იყო მისი დალპობისაო — მხიარულათ წარმოეთქვა ეპისკოპოსს.

* * *

მოაგარაკეთა და მოსწავლეთა სასიხარულოთ ამ ბოლოს დროს ძალიან აგვიგრილდა, მაგრამ სოფლელებს კი არაფრათ ეჭაშნიკებათ, რადგან ბევრს კალოები დარჩათ გაულეწავი. ხშირი წვიმები ხელს უშლის ძნების ზიდვას და ლეწვას.

* * *

ზემო იმერეთში და საზოგადოთ ზემო ქართლში წელს ვენახები ყოველგან წახდა. გაზაფხულის გასულს რამდენიმე დღეს ისეთი სიცივეები იყო, რომ ჩუმი რთვილი გაავდო და იმან მოწვა ხეხილი და ვენახები. თურმე ვენახის ლერწი ისეთნაირათ დაზიანებულა, რომ საიჭვოთ მიაჩნიათ, მომავალ წელსაც რომ გამოდგეს.

***

თფილისის სათავად-აზნაურო შკოლაში ბევრს დედ-მამას უარი ეთქვა ყმაწვილების მიღებაზე ვაკანსიის უქონლობის გამო. წელს 8 ყმაწვილს შეუსრულებია იქ კურსი. იმათგან მხოლოთ სამი მიულიათ: ორი ღიმნაზიაში და ერთი მიწის საზომავ სასწავლებელში, დანარჩენი შარშანდელი ორი და წრევანდელი ხუთი, სულ შვიდი მოწაფე დარჩენილან ღვთის ანაბარაზე. ეს გარემოება დასაფიქრებელია. საჭიროა თანდათან მოემატოს კლასები, რომ სათავად-აზნაურო შკოლა გადიქცეს სრულ კერძო ღიმნაზიათ და კურსდასრულებულები პირდაპირ მიდიოდენ უმაღლეს სასწავლებელში.

წელს შეიძლება მეხუთე კლასი კიდეც გაიხსნას, რადგან როგორც შევიტყვეთ, საშუალებაც არის და მთელი თავად-აზნაურობაც მოწადინებულია.

***

ყოველ წელიწადს მარიამობისთვის მიწურულში დიდ ძალი ხალხი მიაწყდება ხოლმე თფილისს რკინის გზით. ყოველ წელიწადსვე გვესმის საჩივარი, რომ საშინელი ვიწროობით ლამის დავიხრჩვეთ, მაგრამ რკინის გზის მთავრობა ყურადღებას არ აქცევს და ვაგონებს არ უმატებს. მაგ. 29 მარიამობისთვეს, მატარებელი გატენილი იყო ხალხით და გორის სადგურზე მოიყვანეს კიდევ ასზე მეტი მილიციონერი ისე, რომ თითო ვაგონში 70 კაცზე მეტი ვიყავით.

## საყურადღებო ამბები

**ვ**აგკაგი. აქაურმა ქართველობამ შაბათს, 12 მარიამობისთვეს, გაიგო თუ არა ჩვენი საყვარელი პოეტის აკაკის ხარკოვიდან კავკავში დაბრუნება მაშინვე გაეშურა მის მოსაკითხათ და შეძლებისამებრ პატივსაცემათ. აკაკი კავკაის იშვიათი სტუმარია და ამიტომ აქ ბევრია ისეთები, რომელნიც ჩვენს პოეტს მხოლოთ მისი ნაწერებით იცნობენ და არა პირადათ. ეს პირადი ხილვა შეადგენდა დიდი ხნის სურვილს აქაურ ქართველთათვის. საყვარელი მამულის შვილის ხილვა, რასაკვირველია, მეტათ აორკეცებს ამ გრძნობას.

რადგანაც ბ. აკაკი მეორე დღესვე მიემგზავრებოდა თბილისისაკენ და დრო ცოტა რჩებოდა, ამიტომ შაბათს საღამოს ჩვენს მგოსანს გაუმართეს „საქართველოს“ ბაღში მცირე სეირნობა, რომელზედაც დაესწრო ორმოცამდის ქალი და ვაჟი. ვახშამზე ბევრი საგრძნობელი სიტყვა წარმოთქვა შესახებ მამულიშვილობის გრძნობისა და სამშობლოს სიყვარულისა. ადღეგრძელეს ყველა ჩვენი მოღვაწეები, რომელნიც მესამოცე წლებიდან და ადრეც გამოსულან მწერლობის ასპარეზზე და, ასე თუ ისე, ცდილან უმწყემსო ცხვრებივით დაფანტული ქართველი საზოგადოების თავის მოყრას. ბ-ნმა აკაკიმ ქართველი ერის შეკავშირების მიზეზათ გარდა მწერლობისა სხვა ასპარეზზე მოღვაწენიც აღიარა და მასთან დაასურათა დღევანდელი მდგომარეობა ქართველთა საზოგადოებისა და ზოგიერთ საზოგადო საქმეებისა. დიდი სიხარულით და პატივისცემით დალია სადღეგრძელო ჩვენი პოეტის და მოღვაწის ილია ჭავჭავაძის და მასთანვე ისურვა დღეგრძელობა იმ პირებისა, რომლებიც საზოგადო მოღვაწეებს კვალში უდგიან და მათ ნაკლულევანებას უჩვენებენ.

ბ-ნმა აკაკიმ საზოგადოთ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა აქაურ ქართველობაზე; მეორე დღეს ყველანი დიდი მოწონებით, სიხარულით და სიყვარულით ლაპარაკობდენ აკაკიზე და დიდათ მოხარულნი იყვნენ, რომ ეღირსენ ამისთანა საყვარელი მამულისშვილის ხილვას და ამასთან მუსაიფს. ეს ჟამი დაუვიწყარი იქნება ყველასათვის, ვინც კი დაესწრო ვახშამზე. აკაკის თხოვეს დარჩენილიყო მეორე დღესაც, რომ უფრო მეტათ დამტკბარიყვნენ მისი ცქერით; მაგრამ ეს წადილი ვერ ასრულდა, რადგანაც აკაკი თბილისში მიეჩქარებოდა. ვახშამს შემდეგ, რომელიც სამ საათზე გათავდა, ჩვენი პოეტი სასტუმრომდის მიაცილეს; ქუჩიდან ხელით აიყვანეს და სასტუმროს კიბემდე ისე მიიყვანეს.

ი. რუისელი

***

ქ. ფოთი. ცხრა თუ ათი წ—დი იქნება, რაც ბ-ნ ხ—ნ ბერეჟიანს აქვს რუსეთის საზოგადოების ცეცხლის გემების დაცლა და დატვირთვა აღებული იჯარით. ამის სახელობაზე არის დაარსებული გურული მუშების „არტელი“, 50—100 კაცამდე. ბ-ნი ს—ნ ბერეჟიანი ამას გარდა ცლის და ტვირთავს ზემო მოხსენებული მუშებით ყველა იმ კერ-

ძო ცეცხლის გემებს, რომლებიც შემოდიან რუსეთიდან ფოთის ნავთ-სადგურში, და აგრეთვე რკინის გზის ვაგონებსაც, რადგანაც ფოთის რკინის გზის სადგურზე მუშაობა მის ძმას ბ-ნს ჯ—თ ბერეჟიანს იჯარით აქვს აღებული. მაგრამ 50-ი კაცის ადგილას ექვსი კაცი ჰყავს არტელათ, ისიც იმიტომ, რომ ადგილობრივ მატარებელის სადგურის უფროსს და იმის თანაშემწეებს წყალი მიუტანონ და არა რა აწყენინონ. ესენი დღე და ღამე თვრამეტ საათს მუშაობენ. რაც ბათუმის ქარხნებში მუშაობამ იკლო, მას შემდეგ ძმებმა ბერეჟიანებმაც მოუკლეს მუშებს ქირა, რადგანაც დარწმუნებული არიან, რომ მუშებს იმას იქით გზა არა აქვთ. ამ გვარათ წუწნიან საწყალ ადამიანებს სიცოცხლის სახსარს ისე, როგორც ობობა თავის ქსელში გაბმულ მსხვერპლს. აი, მაგალითათ, თვეში, როდესაც ისინი კერძო ცეცხლის გემებიდან და რკინის გზიდან აღებულ ფულებს თვითონ იჯიბავენ, რუსეთის საზოგადოებიდანაც აღებულ ფულს 100 თუმნიდან 150 თუმნამდე იღებენ, უბრალო მუშებს 10—15 მანეთამდის აძლევენ მხოლოთ თვეში. ასეთი ცოტა ფასი მუშას აპირუტყვებს გონებრივათ და ზნეობრივათ.

ერთი სიხარული იყო მუშებში, როდესაც ბ-ნი ნიკოლაძე ქ. ფოთის მოურავათ აირჩიეს. მაშინ ფიქრობდენ საწყალი მუშები: ახლა მაინც გვეღირსება ჩვენი ნამუშევრის აღებაო, რადგანაც ეგონათ, რომ ბ-ნი ნიკოლაძე მოგვაქცევს ყურადღებასო. მაგრამ დრო გადის და მუშების მდგომარეობა არ გამოცვლილა, არავის გული არ შეტკივა იმათთვის, ვითომ და ისინი ადამიანები არ იყვნენ.

*
* *

ოქუმი. ჩვენ ნამდვილი წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ ის ბრალდება, რომელიც ბ-ნ ენგურელს თავის კორესპოდენციაში სამურძაყანოდან დაუდევს ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების შკოლების ზედამხედველზე, მამა კავჟარაძეზე, სრულიად უსაფუძვლო აღმოჩენილა. თვით მამა კავჟარაძეს, როგორც განვითარებულ სულიერს მამას, ნაკლებ ენგურელისა გული არ შეტკივა სამურძაყანოელ მოწაფეებზე და შეძლებისა და გარემოების მიხედვით ყოველ ღონისძიებასაც ხმარობს სამურძაყანოს შკოლებში სამშობლო ენაზე პირველი დაწყებითი სწავლა და გონების გამოფხიზლება სამშობლო ენის მეოხებით არსებობდეს. ამ ჩვენს დროში ბევრად უფრო დიდს სარგებლობას მოიტანს შეთანხმებით და ერთმანეთთან სიყვარულით შეთვისება და ისე ხელის წარმართება თანამემამულეთა ახალგაზდობის გასანათლებლათ, ვიდრე ერთმანეთის წინააღმდეგობით და შურისძიებით მოქმედება.

*
* *

ს. ალიბეგლო (საინგილო). კაცის კვლა, ქურდობა და ცარცვა-გლეჯა აქ ჩვეულებრივი მოვლენაა, ერთ მუჭა ქრისტიანებს გარშემო მუსულმანები ახვევიან და ესენი თვალში ეკალივით ეჩხირებათ. იმათ მთავრობისა რომ არ ეშინოდესთ ერთ დღეს ყველას ამოწყვეტდენ. ეს რომ არ შეუძლიათ, ამისთვის ქრისტიანებს თავიანთ ქურდ-ბაცაცობით იკლებენ. ისეთი ღამე და დღე არ გაივლის, რომ ქრისტიან ინგილოს ან ყორაღანში, ან კახში, ან ალიბეგლოში, ან შუშაბაშში და ან ქოთოქლოში რამე არ მოტაცონ. მართალია, არც ესენი ისვენებენ: ესენიც სამაგიეროს უხდიან, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ბოლო არ ელება ასეთ წესწყობილებას საზოგადო ცხოვრებისას. ადგილობრივი პოლიცია მხნეთ დევნის ქურდებს, მაგრამ იგი მაინც ვერას ხდება ქურდთა ხრიკების წინაშე.

მღ. დ. ჯანაშვილი

---

## თამარშენის საყინულე

ზეპირ-გადმონაცემი თავ. აბესალომ მაჩაბლის მიერ, ჩაწერილი 1895 წ. 16 აგვისტოს

შესანიშნავი სანახავია ს. თამარშენი დიდ ლიახვის ხეობაში. ეს არის გამოსავალი კარი ამ ხეობისა, მდინარის მარჯვენით და მარცხნით მდებარე. აქვე თამარშენის ნაწილი ს. აჩაბეთია, სადაც რამდენიმე ნანგრევებია და ნაშთი თამარ მეფის საგარაკო სასახლისა. მახლობლათ გაუქმებული თირის მონასტერია, რომელიც საჭიროებს დღეს ქართველი ბერებისა და მონაზნების სათნო-მოღვაწეობას. დიდი ლიახვის ხეობას ისეთი რამ ბუნების სამკაული აქვს, რომლითაც ის განსხვავდება სხვა კავკასიის ხეობებისაგან. მისი ძვირფასი თვალებია უნაგირას მთა, ზეკარა და ბრუტ საბძელი (ხალხურათ ბრუტსაბძელა). ს. თამარშენიდან

მთელი ლიახვის ხეობა წარმოადგენს ერთს დიდებულს ბუნების დერეფანს, რომლის სათავეშიაც აიმართებიან უზარ-მაზარ ძეგლებათ ზემოხსენებული თოვლიანი მთები. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ბრუტსაბძელის მთა, რომელიც შორიდან წარმოადგენს ერთს ვეებერთელა ლაჟვარდის ქვით შემკობილს აკლდამას. კაცის გამოხატულებას ძალაუნებურათ წარმოუდგება ვითომც იქ, იმ უშველებელს აკლდამაში განისვენებდეს ვინმე ქვეყნის გმირი, რომელსაც ხალხმა უწოდა ამირანი, ანუ ბრმათეოსი (ელლინურათ გადამახინჯებული, გადაკეთებული პრომეთეოსი). ალაგობრივი ხალხის მოთხრობით ბრუტსაბძელზე *) მიჯაჭვულია როკაპი (თუ როსაპი?) „ქართ. ცხოვ." გადმოცემით „ბევრასპი". დიდ ოთხშაბათს მასთან მიჰქრიან კუდიანები ძკაცის გულებს მსხვერპლათ წირვენ. მართლაც ზეპირგადმოცემით „ეს კუდიანების ღმერთი, მიბმული ჯაჭვით ბრუტსაბძელზე—თანახმათ „ქართლის ცხოვრების" მოთხრობისა, არის თვალებით დაბრმავებული, რომელსაც დიდი კბილები აქვს გადმოყრილი და ყოველი კუდიანი, იქ მისული იმათებურ ხატობაზე, მოვალეა დიდი, ან პატარა კენჭი მიარტყას კბილებში, ნიშნათ კაცის გულის შეწირვისა. რომელიც უფრო დიდ კენჭს ესვრის კბილებში,—ეს იმის ნიშანია, რომ იმას უფრო დიდი, სახელოვანი კაცის გული მიუძღვნია როკაპისათვის (ბევრასპისათვის)..."

სოფელს თამარშენს ამკობს დიდებული სანახაობა ზემოხსენებული სამი უზარ-მაზარი ქედისა, რომელთაგან ერთის სახე წარმოადგენს სადევგმირო უნაგირს, მეორე დევ-გმირის ციხის გალავნის კარს და მესამე დევ-გმირის აკლდამას, რომელშიაც მისი პატრონი, ქვეყნის გმირი ამირანი, ანუ ქართულათ ბრუტი, ესე იგი ბრმა გმირი, ელლინურათ პრომეთეოსი—ბრმა ღმერთი—უნდა განისვენებდეს. საფიქრებელია, მთელი ამირანის ანუ ბრუტის, თუ როკაპის ლეგენდა ამ ხევის კარში უნდა შეთხზული იყო ასეთის ბუნების საკვირველი სანახაობის შესამკობათ და ასახსნელათ. დღეს ეს ალაგები ჩრდილოეთის კავკასიიდან გადმოსული ოსებით არიან დასახლებული, რომელთაც მეთოთხმეტე და მეთუთხმეტე საუკუნეში უსარგებლიათ მონგოლების მიერ ქვეყნის აკლებით, ესე იგი ქართველების ამოწყვეტით და ამათ ალაგზე დაბინავებულან. ლიახვის ხეობის ოსები ემორჩილებიან მაჩაბლებს, რომელთა გვარი ზეპირ-გადმოცემით ანჩაბაძეებისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. ანჩაბაძეები დასახლებულან თამარ მეფის წინა დროებში თამარშენის მახლობლათ და იმათ გამო თვით ალაგს დარქმევია აჩაბეთი. თამარ მეფე უკეთეს ადგილს ვერ გამოარჩევდა საზაფხულო-საავგარაკოთ, რადგან მის თვალის სეირს ნიადაგ დაატკბობდა ხეობაში აყუდებული სამი უზარმაზარი ხელთუქმნელი ბუნების ძეგლი საქართველოს პირმშო ცხოვრების მოწმობისა. ეს ზღაპრული მოთხრობა ამირან-როკაპისა დიდ მეფეს ნიადაგ თვალსა და გულს უხალისებდა თავის ქვეყნის წარსულის მოგონებით. თვით სახელი „თამარშენი" ამტკიცებს, რომ ეს სოფელი თამარ მეფეს დაუშენებია ქალაქათ. სადაც ცხოვრებულან ქართველებთან ერთათ ურიები და სომხები. აჩაბეთში დიდებულს მეფეს ჰქონია სასახლე, კოშკი და გალავანი, რომლის ნანგრევები დღესაც ჰჩანს. თამარშენის მარცხნით თვით ბუნებას გაუკეთებია სახელოვანი მეფის სასეამოვნოთ საყინულე გორა, რომლის ძირშიაც გამოდის წყარო. საკვირველი თვისება აქვს ამ გორას და თვით წყაროს. რაც უფრო დიდი სიცხიანი დღე იქნება, იმდენათ უფრო მეტი და დიდრონი ყინულები კეთდებიან წყაროს სათავეში.

„ერთ დროსო—მიამბო თ. აბესალომ მაჩაბელმა—იყვენო ზემო ქართლში დიდებული აზნაურები დოლლაძეები, რომელთაც ეჭირათ ყველა, რაც მიწა-წყალია ლიახვსა და მტკვარს შორის. ამ დროს ს. ქურთაში ცხოვრებდა ერთი ბორტიშვილი მაჩაბელი, ძლიერი მებატონე. ერთ სიცხიან დღეს ზაფხულში დოლლაძემ მოინება სამაჩაბლო წყაროდან ყინულის წამოღება და გამოგზავნა ჯორებით თავის მოსამსახურეები. ამათ ამოამტვრიეს წყაროდან დიდძალი ყინულები, დატვირთეს ჯორები და წამოიღეს. ეს ამბავი მოახსენეს მაჩაბელს, რომელიც გამოუდგა თავის ხლებულებით დოლლაძის მოსამსახურეებს, დახოცა ისინი, გამოაყრევინა ყინულები ხეირჯინებიდან, დატვირთა ისინი, ყინულების მაგიერათ, მის მიერ დახოცილის კაცების თავებით და გაუგზავნა დოლლაძეს. ძლიერი მებატონე გარისხდა და გულში ჩაიგდო ეს შეურაცხყოფა. მალე დოლლაძე შეითქვა ბორტიშვილებთან მაჩაბლების ამოსაწყვეტათ.

აღდგომის ღამეს შეურჩიეს დრო მაჩაბელს და, როცა ის კარის ეკლესიაზე თავისი ცოლ-შვილით და მოსამსახურეებით ლიტანიას უვლიდა, უეცრათ დაეცენ მას თავზე დოლლაძე და ბორტიშვილები, გაწყვიტეს ყველანი, შემდეგ მიუხტენ სასახლეში და ამოზუგეს მისი სახლკარი. მხოლოთ გადარჩა ერთი აკვნის ბავში, რომელიც გაიტაცა ძიძამ გადაღმა ოსეთში—ზროგოში—და იქ დაავაჟკაცა.

*) ეტიმოლოგიურათ ბრუტიანი და ბრმა ერთი და იგივეა. ავტ.

ამას შემდეგ სხვა ბორტიშვილები ჩადგენ მაჩაბლის ადგილ-მამულში და დაისაკუთრეს. გავიდა დრო. მეფე ვახტანგს, შაჰნაოზათ წოდებულს შეემთხვა ომი ოსმალებთან. ბრძოლაში მეფეს მტერი მიუხტა და უნდოდა შუბით გაეგმირა, მაგრამ ამ დროს მას წინ ჩამოეფარა ერთი უცხოთ მოყვანილი ვაჟკაცი, რომელმაც მოჰკლა მტერი, მაგრამ თვითონაც მხარში დაიჭრა. მეფემ ჭრილობის შესახვევათ თავის ცხვირსახოცი გადუგდო. როდესაც ბრძოლა გათავდა და მეფე მხიარული დაბრუნდა თავის კარავში, მოიკითხა ის ახალგაზდა, რომელმაც მეფე გადაარჩინა მტრის ლახვრისაგან. დაიწყეს ძებნა და ბრძოლის ველზე ერთ ბუჩქთან ნახეს სისხლით მოსვრილი ცხვირსახოცი. იქვე ბუჩქიდან გამოისმოდა დაჭრილი ვაჟკაცის კვნესა. ჯარის კაცებმა წამოიყვანეს დაჭრილი ვაჟკაცი მეფესთან მისი ცხვირსახოციანა. მეფემ დააყენა თავს თავისი დოსტაქრები და როდესაც ვაჟკაცი განიკურნა ჭრილობისაგან, გამოჰკითხა მისი ვინაობა და რომ შეიტყო, ის იყო გვარათ მაჩაბელი, ძიძისაგან გადარჩენილი მემკვიდრე დოლიძის მიერ ამოწყვეტილი მაჩაბლისა, ჩამოართვა ბორტიშვილებს მითვისებული ადგილ-მამული და უბოძა ისევ მხნე ჭაბუკს. ამას ერქვა სახელათ ზაალ და იქიდან მომდინარეობენ ზაალიშვილი მაჩაბლები".

გ. წერეთელი

---

## ბაში-აჩუკი

(ისტორიული მოთხრობა)

ვუძღვნი მოსკოვის სტუდენტებს.

თვალ-მიუწვდომელ სიშორიდან გველივით მოიკლაკნებოდა ჩუხჩუხა არაგვი და ერთგან კლდოვან კიდეს გამეტებით ეხლებოდა, რომ ახალი გზა გაეკვლია!.. თავს არ იზოგავდა, მაგრამ შეუპოვრობისაგან უკუქცეული დარეტიანებული და თავ-ბრუ დასხმული, თითქოს სულის მოსაბრუნებლათ იქვე მორევში რამდენჯერმე მოტრიალდებოდა ხოლმე და მერე კი დაკვირვებით გადადიოდა დაბლობზე, რომ უფრო მეტის სიფრთხილით და კვნესა-დუდუნით დაშვებულიყო ქვემო-ატეხილ ჭალებისაკენ. იმ კლდოვან-კიდის თავზე, ღრუბლიდან გამოსულიყო უზარ-მაზარი ციხე-დარბაზი, შეუპოვრათ გადმომდგარიყო და სანუგეშოთ გადაყურებდა არე-მარეს. ყოველი მხრით შეუვალ-გალავნით შემოზღუდულ შენობას, მხოლოთ ერთი მხრით, აღმოსავლეთისაკენ, გულს უხსნიდა სიგძით ჩაყოლებული ჰაივანი.

სამხრობა გადასული იყო. ჰაივნის თავში ტახტზე იჯდა ფეხ-მოფთხნით დარბაისელი მოხუცი, ზაალ ერისთავი და კრიალოსანს ათამაშებდა. იქვე შორიახლოს ზედ ხარიხასთან მიედგა სკამი ზაალის მეუღლეს, მუხლებზე გადაეშალა დავითნი და „ჭირის კანონს" კითხულობდა, სკვნილი *) ეჭირა ხელში და, რამდენჯერაც კი გაათავებდა იმ ერთსა და იმავე პსალმუნს, დაიწერდა პირჯვარს, ჩააგდებდა სკვნილს და მიუბრუნდებოდა ისევ თავიდან!.. უნდა ორმოცჯერ წაეკითხა.

— „მიშველეთო"! დაიკივლა უცბათ და აქეთ იქით კედლებს დაუწყო ყურება. ზაალიც წამოვარდა და მიაშურა.

— „რა იყო, ბატონო? რა დაგემართა, მარიამ?"

— „არაფერი!" მიუგო, როგორც იქნა გულ-დამშვიდებულმა მეუღლემ. „თავ-ბრუ დამეხვა! სახლმა ქანება დაიწყო და მეგონა, თუ კედლები ინგრეოდენ... მომეჩვენა...

— აგრე იცის მიჟინებულმა კითხვამ! თავ-ბრუს ასხამს კაცს!

— მორევისკენ გადავიხედე და წყალმა თვალი მომჭრა. დარცხვენით წაილაპარაკა მარიამმა.

— ჰმ! მეც არა ვთქვი!.. წყალს თერხი დაკრავდა, ჭველი შეინძრეოდა, შეითამაშებდა და, რასაკვირველია, შიგ ჩასახული სახლიც დატორტმანდებოდა... როგორ ვერ მიხვდი? ღმერთმა ბაშვსაც ნუ აქნევინოს ეგ საქმე — დაუმატა სიცილით.

— როცა კაცს გული საგულეს აღარა აქვს და შიშის ქარი უვლის ტანში, მაშინ რა არ წარმოუდგება! იმ სიზმარმა სულ გადამრია და გადამშალა!

— სიზმარმა?!.

---

*) მველათ კითხვის დროს მოწაფეებს ეჭირათ ხელში წვრილი ბაწარი, ანუ სხვილი ძაფი ათგან გამოსკვნილი. რამდენჯერ წაიკითხავდენ, იმდენ ნასკვს ჩააგდებდენ კრიალოსანივით. ათს რომ გაათავებდენ, თუ კიდევ საჭირო იქნებოდა, თავიდან დაიწყებდენ. აი, ამ ძაფს ანუ ბაწარს ერქვა სკვნილი.

— დიახ! იმ უცნაურმა სიზმარმა, წუხელი რომ უნახავს მოძღვარს.

— ვექო, რა არის მაგისთანა?

— ნეტავი არც კი გამეგონა, თუ არა რავა გაეიმეორებ?

— ეეი! ბიჭო, ბიჭო, რომელი ხართ მანდ! კირილეს დამიძახეთ! მომგვარეთ ახლავ! თუ ეძინოს— გააღვიძეთ! დაიყვირა ერისთავმა და გასწორდა. კრიალოსანი მიაგდო გვერდზე, მუთაქა განზე გადადვა, ფეხები ძირს დაუშვა და აუჩქარებლათ გაუყარა ფოსტლებში. შემოვიდა ღვდელი.

— მშვიდობა სახლსა ამას! თქვა და გაჩერდა.

— დაბძანდი, მამაო! უბძანა ერისთავმა და მიუთითა სელზე.

— რაღაც უცნაური სიზმარი გინახავს?

— უფრო ჩვენება, ვიდრე სიზმარი, ჩემო ბატონო!

— ე, ხალხი კი გადაგირევია და!..

— არ მინდოდა გამხელა, მაგრამ პარაკლისი რომ გადავიხადე, მიზეზი მკითხეს და ველარ დავფიცე.

— რა იყო მაინც მაგისთანა?

— მართლა რომ საოცარი რამ. აქ ჩაახველა ხმის გასასწორებლათ მოძღვარმა და ათრთოლებული ხმით მოყვა წყნარათ: ალავერდის მონასტერს, დიდება მის ძლიერებას, უწმინდური დაპატრონებოდა.

— უწმინდური?!.

— დიახ. გველეშაპი შამოხვეოდა გარს. სამჯერ რომ შემოგვერგვოდა, კუდი პირში ეჭირა, ერთი მტკაველი კიდევ იქით იყო გადაცილებული. ეძინა იმ წყეულს. მისი შიშით საყდარში ველარავინ შედიოდა! აღარც წირვა იყო და აღარც ლოცვა. ხალხი გარს შამოხვეოდა და ზარ-დაცემული შეყურებდა. ველარავინ ინძრეოდა. ხანდახან გამოიღვიძებდა ხოლმე ის არაწმინდა, გაიშლებოდა და, პირ-დაღებული, თვალების ბრიალით წამოსრიალდებოდა ხოლმე ხალხისკენ!.. რომელ კუთხიდანაც კი მოადგებოდა, გაჰქონდა!.. ჩასანსლავდა ზედი-ზედ, ერთი მეორეზედ, იქვე უძრავათ გაშეშებულ ადამიანიშვილებს, გამოძღებოდა, გასისინდებოდა, მერე ისევ გარს ეხვეოდა ტაძარს. ყოველი მისი გამოღვიძება მუსრი იყო ქვეყნისთვის. ერთიც ვნახოთ, მოულოდნელათ გამოჩდა სამი მეომარი, ერთი მეორეზედ უკეთესი; მათ ნახვას არა ჯობდა-რა!.. შუბ-ისრით შეჭურვილებს ხელში ფარ-ხმალი ეპყრათ და აელვებდენ.—ერთი მათგანი მიუბრუნდა ზარ-დაცემულს ხალხს და შეჰყვირა: „ვინ ქართველი და ვინ გულ-გატეხილობაო? აღარ გახსოვსთ ძველი ანდერძი „სირცხვილს სიკვდილი ჯობს და ორივე კი ერთათ—ჯოჯოხეთიაო“ ამ სოფელს გამოთხოვებიხართ, დღეს თუ ხვალ აღარც ერთი აღარ იქნებით და ცხვრებივით კი დაგიდვიათ თავი!.. არ გიჯობსთ რომ წინ აღუდგეთ უწმინდურს და ბრძოლაში დალიოთ სული? განა ეს უფრო ვაჟკაცური არ იქნება და გულის მოსაოხებელიო?!.“ ამ სიტყვამ ელვასავით დაურბინა ხალხს და გამოაფხიზლა: შეიქნა ერთი ჩოჩქოლი, იგრიალა დიდმა და პატარამ. ზოგმა ფარ-ხმალს მოავლო ხელი, ზოგმა ცულს, ზოგმა წალდს, ზოგმა ნამგალს, ზოგმა ხელკეტს, ზოგმა რას და ზოგმა კიდევ რას! ვისაც რა ეხერხებოდა, და ან რა ემარჯვებოდა – იმას მიმართა. წაუძღვენ წინ მეომრები, მიუახლოვდენ მძინარს, ერთად გასტყორცნეს სამი ისარი; დალახვროს ღმერთმა, არც ერთი გვამში არ გაერჭო იმ წყეულს! მისმა მაგარმა ქერტლმა სამივე აირეკლა. გამოიღვიძა გველეშაპმა, მაღლა აილო თავი, აიქოჩა, ერთი საზარლათ იწივლა და მოაშურა. საოცარი სანახავი იყო: კუდით ირეკდა მეომრებს,—ტოტსა სცემდა, ბრჭყალებით გლეჯდა და კბილებით წიწკნიდა. ცუდათ იყო საქმე, თუ ის უცხო მეომრები სამივ მხრით არ მიდგომოდენ და ბრძოლა არ დაეწყოთ, საარაკო იყო მათი ლახტის ცემა!.. მაგრამ რა გამოვიდა, რომ იმ უწმინდურს ყოველ ახალ ახალ ჭრილობაზე, ყოველ წყლულზე ძალი ემატებოდა! დაელეწათ ფარხმალი გმირებს და ღონე მიხდილი, მზათ იყვენ დამორჩილებოდენ, მაგრამ ამ დროს გამოჩდა მთიდან მომავალი მხედარი, შუბით ხელში, თეთრ ცხენს მოაგელვებდა. მიეჭრა გათამამებულ გველეშაპს და უგმირა ლახვარი. უწმინდურმა იწივლა, დაიკლაკნა, და სასიკვდილოთ გაალო პირი. შავი ოშხივარი კომლივით ამოუშვა და თან საზარელი სიმყრალის სუნი ამოატანა. ჩვენ ყველას გული შეგვიწუხდა და უგრძნობლათ დავემხეთ დედა-მიწაზე.—არ ვიცით, რამდენ ხანს ვიყავით უგრძნობლათ, მაგრამ ბოლოს, რომ გამოვფხიზლდით, თვალი გავახილეთ და მაღლა ავიხედეთ, აღარაფერი აღარ იყო! ყოველივე გამქრალიყო. აღარც გველეშაპი ჩნდა და აღარც მეომრები... თეთრ ცხენიანი მხედარიც წასულიყო. სიჩუმე იყო და მხოლოთ სალიტანიო ზარების რეკა ისმოდა, თუმცა სამრეკლოზე კი არავინ იდგა. ტაძარი განათლებული იყო და კარები ღია. იგრიალა ხალხმა, მოიხადა ქუდი და მიაშურა პირჯვრის წერით: შიგ რომ შევედით, საყდარი ცარიელი იყო, მხოლოთ ალმოსავლეთის კარებთან ის სამი მეომარი ესვენა. ამ სოფლით გასულიყვენ... თავზე ნათლის სვეტი ადგათ და მაღლით გალობა გუნდთა ისმოდა: „წმინდათა თანა განუსვენეო“ და სხვანი.

— „წმინდა არს, წმინდა არს უფალი საბაო!“ თქვა პირჯვრის წერით გაკვირვებულმა ერისთავმა.

— ,,სავსე არიან ცანი და ქვეყანანი დიდებითა მისითა! განაგრძო მარიამმა.

— ,,და საკვირველებითა!“ დაუმატა მოძღვარმა და სამივე დადუმდენ. დიდ ხანს ხმა აღარ ამოუღიათ, მაგრამ სახეზე კი ემჩნეოდათ, რომ უჩვეულო მღელვარებას შეეპყრო სამივე. ის ორი მხოლოთ სულზე ფიქრობდენ, მაგრამ ზაალ კი ქვეყნიურ ძრახვებს ვეღარ აღწევდა თავს.—უცბათ დაიქუხა ერთი და გაგრძელდა ხმა, თითქოს ცის ერთი კიდიდან მეორე კიდემდინ ეტლები გადაახრიგინესო. ,,წმინდა არს, წმინდა არს!“ თქვა ერისთავმა და პირჯვარი გამოისახა.—ღრუბელთ წინამძღვარი მიბძანდება მთაში! დაილოცოს მისი მადლი!

ამ დროს ზედი-ზედ დაიჭექა სადღაც შორს და მთებმაც ბანი მისცეს.

— ჰაა! გავარდა მეხი! კეკუჩ თავში ეშმაკს!.. თქვა სიხარულით ზაალმა და წამოდგა ზეზე. მსხვილმა წვიმამ შამოაშხაპუნა ჰაივნისაკენ; ზაალ ოთახში შევიდა, მარიამმა სახატეს მიმართა, რომ სანთლები აენთო, კირილე კი იქვე დარჩა მარტო, მოიყარა მუხლები, ააპყრო ხელები და სასოებით წარმოთქვა: ,,ღმერთო! მოხედე შეჭირვებულ საქრისტიანოს და სიზმარი კეთილათ აგვიხდინეო!“ დიდხანს იდგა გაქვავებული, მხოლოთ ტუჩებს ანძრევდა და ცრემლები ღაპა-ღუპით ეცემოდენ სპეტაკ წვერებზე.

[illegible]აკაკი

(შემდეგი იქნება)



იულია პასტრანა.



ადრიან ევტიხიევი.



უმაწვილი ფედოროვი.

## ბანჯვლიანი ქალები და კაცები

ხშირათ შეუნიშნავთ კაცის ტანზე სქლათ ამოსული გოჯის სიგძე თმა. გძელ თმიანი კაცები და ქალები ძველათაც ყოფილან. ამას ამტკიცებენ გელათის ტაძრის ჩრდილოეთის სტოვაში დახატული წმინდა განდეგილები, რომელთაც თეთრი წვერები ტანზე უგრძესი ჰქონიათ და წელზე სარტყელსავით ჰქონიათ შემოხვეული. მაგრამ ამაზე კიდევ უფრო საკვირველი ის არის, რომ ჩნდებიან ისეთი ქალები და კაცები, რომელთაც ტანი და პირისახე პირუტყვის ნაირათ ბალნით აქვთ დაფარული და ზოგი მათგანის სახე გასაშტერებლათ მიემგზავსება მაიმუნისას, როგორც მაგალითათ იულია პასტრანა და მანდილოსანი კრაო იყვენ, ზოგნი კი მოაგონებენ კაცს ძაღლის სახეს, როგორც აქ დახატული კაცი ადრიანე ევტიხიევი. ბევრნი სხვა-და-სხვა ნაირათ ფიქრობდენ ასეთი გვამის შესახებ. იულია პასტრანაზე ამბობდენ, ვითომც ის მაიმუნისა და დედაკაცის შვილი ყოფილიყოს. არც ეგონათ ნამდვილი კაცის გვარისა, მაგრამ მეცნიერმა ვირხოვმა ცხადათ დაამტკიცა, რომ ყველა ისინი არიან ნამდვილი ადამიანებისაგან წარმოშობილნი. დღემდის ვერ აუხსნია მეცნიერებას, რა ნაირათ და საიდან ჩნდებიან ქვეყანაზე ასეთი ბანჯვლიანი ადამიანები? არც მემკვიდრეობა და არცარა სხვა რაიმე ბიოლოგიური მოვლენა არ ამართლებს ამ გვარი ბანჯვლიანი დედა-კაცებისა და მამა-კაცების დაბადებას.

## მომავალში საქართველოს შვილთა მოქმედების პროგრამა

Ecumons la mer sombre,
Pillons l'océan vert.

გაგრძელება *)

ჩვენ ქართველები იმ მდგომარეობაში ვართ ჩაცვინული, რომ ტაატით კი არა, ჭენებით უნდა ვაწარმოებდეთ წერა-კითხვის შესწავლის საქმეს, რადგანაც გონებითს და მეხანიკურ პროცესს გარდა რალაც ორ-ოდე დათმობილ გაკვეთილების დროს უნდა შევასწავლოთ მოწაფეებს ჩვენი ისტორია, სამშობლო გეოგრაფია, ძველი და ახალი ლიტერატურა იმდენათ მაინც, რომ რუსულ სასწავლებელში სწავლის დამთავრებას შემდეგ შეიძლონ თითონვე მოჰკიდონ ხელი ყველა იმ საგნების შესწავლა-შეგნებას... მაგრამ გვშველიან კი პედაგოგები ამაში?..

სამწუხაროთ, იმათში — ერთი მხრით რომ ვხედავთ ძალმომრეობას, დაჩაგვრას, ბრძანებლობას, სახელმძღვანელოების გამოცემის მონოპოლიის ხელში ჩაგდებას, მეორე მხრით ლაჩრობას, დაჩაგრულობას, უმოქმედობას და ზოგიერთ შემთხვევაში მონურ ქვემძრომელობასაც.. ჩვენი სკოლების ხელმძღვანელთა შორის ასეთი განწყობილება, უეჭველია, ვერ აგრძნობინებს ოფტიმისტ მკითხველს იმავე უბედურ სკოლების დაქვეითებას, გათახსირებას, რეგრესს...

სათავად-აზნაურო სასწავლებლებს ხომ დიდ წარმატებაში შევყავართ თქვენი აზრით, ჩემო ოფტიმისტო მკითხველო. ესენი არიან ჩვენი იგივე ეჩმიაძინისებური აკადემიებიო, მსმენია თქვენგან ათასჯერ. აქ გვეზრდებიან მამულის შვილები, განსწავლულნი სამშობლო და სახელმწიფო ენებზე. აქ სწავლობენო პატარა ქართველები თავის დედა-ენას, ქართულ გრამატიკას, სამშობლო გეოგრაფიას, საქართველოს ისტორიას, ქართულს ძველსა და ახალ ლიტერატურას. სხვა რაღა გინდათ, რომ ამდენათ ავითარებენ სამშობლო ნიადაგზე სხვის ხელში შემაცქერალს ერის შვილებს — წყრომით დააბოლოვებენ ხოლმე ჩემი მოწინააღმდეგეები.

რა ადვილი ყოფილა, ბატონებო, თქმა, მაგრამ რა ძნელია იმავე დროს სიტყვის საქმით განხორციელება.

ერთი მიმითითეთ, ერთი დამისახელეთ მაინც, რომელ მასწავლებელს შეუძლია გულ-ახდით გვითხრას, რომ ზედმიწევნით, სისრულით ვიციო ესა-დაეს ჩამოთვლილი საგანთაგანი? ახლა თუ მასწავლებელმა თითონ არ იცის საგანი, ადვილი წარმოსადგენია, რა უნდა ასწავლოს ბავშებსა.

მართალი თუ გინდათ, რამდენი მასწავლებელიცა გვყავს, იმდენივე თავისებური „საქართველოს ისტორია“ გვაქვს, იმდენივე გრამატიკა, იმდენივე სამშობლო გეოგრაფია, მაგრამ სამწუხაროთ იმავე დროს თითქმის არც ერთი ძველი და ახალი ლიტერატურის მცოდნე არ გვაბადია, მაშასადამე არც თვით შესასწავლი საგანი გვაქვს.

თუ თავად-აზნაურობას, სკოლებს რომ აარსებდა, საგნათ ჰქონდა პატარა ქართველებისთვის, გარდა ნაბძანები სულიერი საკვებისა, საქართველოს წარსული და აწმყოც შეესწავლებინა და ამგვარათ ჩაენერგა მათთვის გულში სამშობლოს სიყვარული, რათა მომავალში საიმედო მამულის შვილები გამოსულიყო, იმასაც უნდა ცდილიყო, რომ სამშობლო ენაზე შესასწავლი საგნებიც შესაფერათ დამუშავებული ჰქონოდათ მოსწავლეებს. როგორ უნდა მიეღწია თავად-აზნაურობას ამ საქმის დაგვირგვინებამდის, ამაზე შემდეგ გვექნება ლაპარაკი, ხოლო ახლა კი აღვნიშნოთ, რომ ამ სათავად-აზნაურო სასწავლებელსაც, როგორც ყველა ჩვენ შინაურ დაწესებულებებს, ერთი და იგივე უნუგეშო ბედი ჰხვდა წილად: ღვინო არსად იყო და ეშმაკები კი წლითი-წლობამდე ტიკებს ალბობდენ.

ბალტაზარი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „კვალი“ № 37

## ზოგიერთი ფიქრი *)

(„მოამბე" № VIII—1894 წ.

Საქართველოს მკვიდრთა გადამეტებულ ნაწილს, მოგეხსენებათ, გლეხ-კაცობა შეადგენს. სოფლათ არის მოთავსებული მუშა მდაბიო ხალხი, რომელსაც სულისა და ხორცის შემხუთველი მწარე ცხოვრება და მასთან ამაოთ მორწმუნეობისა და უმეცრების უღელი მძიმეთ აწევს კისერზე. ასეთი ყოფა ჩვენი ხალხისა ბუნების მართალსა და კანონიერ მოთხოვნილებას, მის სულის მისწრაფებას სრულიად ჰხშავს, ან ცრუ, მავნე მიმართულებას აძლევს. საშინელს სილატაკეში ჩავარდნილი ხალხი გონებით და ზნეობით უძლურდება, ჰკარგავს ადამიანურ სახეს და სრულიად ეხშობა აზრი ცხოვრების განკარგებისა და გაუმჯობესობისა. იგი მტერსა და მოყვარესაც ერთი მეორისაგან ვერ არჩევს და საზოგადო, სახელმწიფო ხარჯსა და გადასახადსაც რიგიანათ ვერ იხდის. გროშის სალირალ საქმეზე ათას ნაირ მატყუარა სალახანების კერძათ გამხდარა. უძლური და ილაჯ-გაწყვეტილი, მწარე შრომის რკინის ბრჭყალებში მოქცეული იბრძვის არსებობისათვის. გლეხებმა ასეთ უნუგეშო მდგომარეობასა და სისაწყლეს დღეს თითქმის უმაღლესი მთავრობაც ჰგრძნობს...

თვითონ მშრომელ ხალხს იმდენი შეძლება და ცოდნა არა აქვს, რომ ცნობიერათ წარუძღვეს თავის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობის საქმეს და იმდიანი ფიქრითა და ნუგეშით უყუროს მომავალს... ცხოვრების გარემოებამ, როგორც სხვაგან, ისე ჩვენშიაც ისტორიის დასაბამიდანვე ერი დაჰყო რამდენსამე წოდებათ, კიბე-კიბეთ, რომლის უკანასკნელ საფეხურზე შრომა და იმისი წარმომადგენელნი—მონები და შემდეგ გლეხ-კაცობა—მოაქცია. ძველი ქვეყნების, საბერძნეთისა და რომის ცხოვრება და განათლება მონებს აწვა კისერზე. მხოლოთ შემდეგ, ისტორიულ გარემოებათა თანახმათ მონების ადგილი გლეხ-კაცობამ დაიკავა და ქვეყნის ავლა-დიდებისა და ყოფა-ცხოვრების სულის ჩამდგმელ და მკვებელმშრომელათ იგი გახდა. წარმატებულ ერთა თანამედროვე ვითარებამ წარმოშობა კიდევ კლასი პროლეტარიატთა, რომელთაც შრომის მომავალისათვის ისტორიამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა, მაგრამ ჩვენ ისევ ჩვენ ისტორიის საგანს — გლეხ-კაცობის საქმეს დავუბრუნდეთ. ეს გლეხ-კაცობა შრომის მწარე უღელში გაბმული და თავ-წახრილი, რასაკვირველია, ვერას გზით ვერ ახერხებს თავის თავზე გონიერათ ზრუნვას, სამოქალაქო, საერო საქმეებზე ფიქრს; ვერ ახერხებს ვერც საზოგადოების შეძლებული ნაწილის მიერ შემუშავებულ უმაღლეს სწავლისა და კულტურის ნაყოფის გამოყენებას და, ამიტომაც, განვითარების კიბეზე ჯერ პირველ საფეხურზედაც ფეხი არ შეუდგამს. ასეთი გარემოება ახავსიანებს გულს, ძველებური, წრეს გადასული, კულტურის კედლებით ჰზღუდავს გლეხთა ცხოვრებას და ამ ნიადაგზე შებორკილი მაინც იგი აძლევს ღონისძიებასა და სახსარს საზოგადოების მცირე ნაწილს, რომ განვითარდეს გონებითა და ზნეობითათ; გლეხთა შრომის მეოხებით ერის ამ მცირე ნაწილმა განიფაქიზოს ხასიათი, გემო და ყოფა-ქცევა, უმაღლესი სწავლის, მეცნიერების ნაყოფით შეიმოსოს და ამ საშუალებით ისტორიული ცხოვრების პროგრესიულ ზრდაშიაც მხურვალე მონაწილეობა მიიღოს. თვითონ საშინელ სიღარიბესა და უმეცრებაში ჩავარდნილი, იგი სხვას ცივილიზაციის ნათელისა და ბედნიერების მადლით უმოსავს ცხოვრებას!. რა არის ეს, თუ არ სასაცილოთ აგდება ისტორიისა? მაგრამ რა გაეწყობა, როდესაც თვით ისტორიის საიდუმლოების ღრმა აზრიც დღემდის წოდებათა შორის ასეთს განაწილებაში იყო...

მაშ ვის უნდა დაედვა მალამო ხალხის დაჭრილსა და დაავათმყოფებულ გულზე, ვის უნდა ეზრუნა იმის ცხოვრების განკარგებასა და გაუმჯობესობაზე?

პატიოსანი მკითხველი მეტყვის, რომ ხალხის გაჭირებული მდგომარეობის გამოკვლევასა, შეგნებას და შემსუბუქებას უნდა შედგომოდა იგი მადლიანი, სწავლით შეიარაღებული მცირე ნაწილი საზოგადოებისა, რომელმაც ხალხის ნასისხლარისა და ნაოფლარის მარჯვეთ გამოყენებით თავიდან აიშორა სიღარიბე და უმეცრება. მაინც განვითარებული წევრი ამ საზოგადოებისა ხომ პირ-ნათლათ და სინიდისიერათ უნდა ემსახურებოდეს ხალხის ინტერესების დაცვასა და თავის უმაღლეს აზრის, იდეალის ამ ქვეყნათ განხორციელებას. ჩვენშიაც მთელი ყურადღება კერძო მშრომელისა და საზოგადო მოღვაწისაც, რასაკვირველია, მიქცეული უნდა ყოფილიყო იმ გარემოებათა ნათლათ გამოკვლევაზე, რომელშიაც ტრიალებდა ჩვენი სოფლათ მომუშავე გლეხ-კაცის ცხოვრება.

*) ამ სათაურით ჩვენი წერილები ფელეტონებათ იბეჭდებოდა ზოგჯერ „ივერიაში", და ერთიც გაზ. „თეატრში" დაიბეჭდა 1890 წელს.

აგტ.

თვითონ განათლებული ქართველიც, ხალხს რაკი ამ გზით დაუახლოვდებოდა, თვით ამ მშრომელთა ცხოვრებისაგან შეიძენდა ბევრ ისეთ რასმე, რომელზედაც მისი წარმოდგენაც არ ექნებოდა წინეთ... და მართალი რომ ვთქვათ, იგი გონებით და ზნეობით ნამდვილათ განათლებული მოღვაწე არ არის, ვინც თვისი ინტერესი და გულის მოსაგები საგანი არ დაუახლოვა, არ გადააბა მშრომელი ხალხის ინტერესებს, გონებისა და ზნეობის გამაფაქიზებელი საზრდო არ მისცა მას. ამით მე იმისი თქმა კი არ მინდა, რომ განათლებულ ქართველს, ტეტიის მოტრფიალესავით, ღმერთათ გაეხადა და თაყვანი ეცა უმეცრებით სავსესა, გონება-გაუთლელისა და, მომეტებულ ნაწილათ, ბინძური გულის-თქმით გატაცებული გლეხობისათვის. არა მე შორსა ვარ იმ ბუნდსა, შემცდარსა და, მაშასადამე, მავნებელ აზრზე, რომელსაც გლეხ-კაცობა ჰგონია ნამდვილი აზრიანობისა და სამართლიანობის ბუდე. მართალია, თავზე თოვლის ფრათ თმა ათეთრებული და შუბლდანაოჭებული მოხუცი გრაფი ლ. ნ. ტოლსტოი მუხლს უდრეკს და გუნდრუკს უკმევს გლეხ-კაცობას და ჰფიქრობს, რომ იგი უმაღლესი და სამართლიანი ურთიერთობის წარმომადგენელია და, მაშასადამე, ტყუილია ცდა მეცნიერებისა, ხელოვნებისა და ფილოსოფიისა, რომელმაც უნდა ვითომ ანუგეშოს დაჭრილი, დაავათმყოფებული გული კაცობრიობისაო. მაგრამ ეს აზრი, რომელიც არის შედეგი, აგრე წოდებული, სლავიანოფილურისა და იმ უკიდურესი ბრმა „მუჟიკური“ მიმართულებისა, რომელსაც რუსეთში ჰქონდა და ახლაც აქვს ნიადაგი, ჩვენში მიბაძვით დაიბადა და ორიოდე თავ-ქარიანი და გზა დაბნეული „ჯეელების“ მხოლოთ უშინაარსო სიტყვის მასალა შეიქნა. ჩვენ ამ „მიმართულებას“ უკვე ვუძღვენით „კვალში“ სტატია (იხ. „ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა“. წერილი მესამე) და აქ მხოლოთ იმას ვიტყვით, რომ ნამდვილათ გონება-განვითარებული კაცი კერპათ ვერ გაიხდის და ყველაფერში ვერ იძმობს გონება-დაბნელებულ გლეხკაცობას მხოლოთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ გლეხი უმეცარია, ამაოთ მორწმუნე, საკუთრების მონა და ბუნებით კონსერვატორი. გონება-განვითარებული კაცი კი მეცნიერებისა და კრიტიკის წარმომადგენელია. უმეცრებით მოცული გლეხი საზოგადო საპოლიტიკო საქმეების და სტიქიურათ შემუშავებული ზნე-ჩვეულების ტყვეა. განვითარებული მოღვაწე კი გულწრფელი მოსამსახურე არის ჭეშმარიტებისა, სამართლიანობისა და საზღვარ-დაუდებელი წარმატებისა. ეს ფაქტია, რომელსაც უარს, ვგონებ, ვერავინ ვერ ჰყოფს. მაშ სად არის აქ ნიადაგი, რომელზედაც უნდა დამკვიდრდეს გულ-წრფელი, არა ფარისევლური, ჭეშმარიტი ძმობა და მეგობრობა, ერთობა?..

მაგრამ აქ, ამ უმეცარი ხალხის ხელით ტრიალებს შრომა—ეს უმთავრესი ფაქტორი საზოგადოებრივი ცხოვრებისა,—რომლის დიდი, ღრმა მნიშვნელობა ცხადია ყველასათვის, ვინც კი ბუნებით ბრმა არ არის, ან განზრახ არ იბრმავებს თვალს. მართალია, გლეხთა შრომა შეზღუდულია სოფლის ცხოვრების უგვანო პირობებით, რომელნიც პირვანდელ სახესა და ხასიათს არ აშორებენ მას და მხოლოთ ვიწრო, **საშინაო ეკონომიურ ასპარეზს** წარმოადგენს. მაგრამ ახალი ვითარების ქარიშხალი უკვე მოხვდა მას და დაიწყო ნგრევისა და რყევის პერიოდი.., მაშასადამე, ჩვენი ხალხის ხელშია დღეს ისეთი სახსარი, რომლის კანონიერათ, ცნობიერათ ვითარებასა და განწყობილებაზე არის დამყარებული მთლათ ჩვენი ერის მერმისი წარმატება, მოძრაობა და ბედნიერებაც. ხოლო უკანონო, უმართლო, უაზრო ვითარებასა და განწყობილებაზე კი—ქვეყნის დაქვეითება და უბედურება.—აი, ეს საქვეყნო საქმე, ეს განსაცდელით სავსე ნიადაგი აკავშირებს უმეცარ ხალხს და მეცნიერ მოღვაწეს, და ამ უმთავრესისა და უპირველესი გულის მოსაგებ ფაქტორის ინტერესის დაცვის თაობაზე უნდა აგებულ იქნეს, უეჭველათ, იმათთან დაახლოვებაც და მისვლაც...

გარდა ამ ნიადაგზე მოჭრილი დაახლოვება-დაკავშირებისა, განვითარებულმა მოღვაწემ, როგორც ეს უმაღლესი გონების ტრიალისა და ცივილიზაციის წარმომადგენელს შეფერის, უნდა უმოძღვროს, უწინამძღვროს ილაჯ-გაწყვეტილ ხალხს, რომელსაც შეუბრალებელმა ცხოვრების ვითარებამ თავიდან ააცილა აზრისა და გონების წარმატება, უმაღლესი ადამიანური ცხოვრება. ამიტომაც, განვითარებული მოღვაწე, რომელიც ეტანება ხალხთან დაახლოვებასა და დაკავშირებას, მთელი ძალ-ღონით და არსებით უნდა ცდილობდეს, რომ, ერთი მხრით, დამოუკიდებლათ, თავისუფლათ ავითაროს თვისი მსოფლიო—შეხედულობა და რწმენა მუდამ წინ მიმავალი მეცნიერების თანახმათ. ამავე დროს, მეორე მხრით, ეს საკუთარი ძალ-ღონით შეძენილი ცოდნა ხალხის საჭიროთ და სასარგებლოთ უნდა აწარმოოს. იგი ვალდებულია თვისი საკუთარი თავისა და ისტორიის წინაშე ასე მოიქცეს. მაგრამ ვალდებულებაზედაც რომ სიტყვაც არა ვთქვათ, ნამდვილათ განათლებული ადამიანის გონება და ზნეობა, ე. ი. მთელი იმი-

სი არსება წინაალმდეგია ზემო ნათქვამ აზრის წინააღმდეგი მოქმედებისა: იგი ამ გზას ისე ვერ აცდება, როგორც მშობიარე ქალი-შვილოსნობას.

აი, ასეთი შემუშავებული დედა-აზრითა და შეხედულობით სურდა შედგომოდა საგლეხო საქმეს ჩვენი ტეტიათა მოტრფიალე, ხოლო მას შუა, რაც უნდა ყოფილიყო და რაც მოხდა, ფრიად დიდი მანძილია.

ჯერ თავდაპირველათ ეს ვიკითხოთ: ეკარებოდა და უახლოვდებოდა ჩვენი განათლებული საზოგადოება ხალხს ისე, როგორც ეს დაახლოვება მან იდეალათ გამოისახა თუ არა? რასაკვირველია!.. ინტელიგენციამ აზრი და გრძნობა მოაშორა საქვეყნო საქმეს, თავი მიანება საერთო, საზოგადო, საკაცობრიო სწავლა-მოძღვრებას და თვალი გაუშტერა მხოლოთ წვრილმან გულის შესაქცევარ საგნებს... იგი დღესაც დიდი წვალებითა და რიხით გამუდმებით ღეჭს გულის გამაწვრილებელს, უშინაარსო სიტყვებს და ფარისევლური გულქვაობით ბჭობს ჩვენს საზოგადო საქმეებზე. ასეთმა ყოფამ დასცა ლიტერატურაც, საიდანაც ისმის მყვირალა თავხედების მარტოოდენ ლანძღვა-თრევისა და მუქარების ხმები. ის კი, რისთვისაც ინტელიგენციას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცია, რომ გონებით და ზნეობით მომზადებულიყო, რომ ჩვენი ერისათვის შეემუშავებია სამერმისო იდეალები განზე მიტოვებული დარჩა, როგორც ერთი რამ მძიმე ცხოვრებაში ხელის შემშლელი ბარგი. მე ვიცი, რომ ჩვენი უბედ-იღბლო ერის დღევანდელი მდგომარეობა დიდი მიზეზია ჩვენი საზოგადოების დაქვეითებისა. მაგრამ, დამეთანხმეთ, რომ ბევრში ჩვენს ლიტერატურასა და ინტელიგენციას, ჩვენს ქართველურს უხასიათობასა და უგუნურებასაც უდევს წილი...

მართალია ჩვენი „ნასწავლი“ ვაჟბატონები, რომელნიც კანცელარიებში ჯდომას საუკუნოთ მშვილდსავით მოუხრია, საზოგადოთ, სოფლათ ცხოვრების სურვილით დიდათ გატაცებულნი იყვენ. ისინი დღესაც, განსაკუთრებით ზაფხულობით, მეტისმეტი სიხარულითა და გულისძგერით ეტანებიან სოფლათ ცხოვრებას და ესეც იმიტომ, რომ დროგამოშვებით მაინც მოშორდენ თავიანთ უსიამოვნო ცხოვრებას ქალაქებში და სოფლათ „ნეტარებასა“ და ესტეტიურ განცხრომას მიეცენ. ეს ამბავიც იმათ სანტიმენტალურ გულჩვილობას უნდა მიეწეროს თითქმის...

რასაკვირველია, ასეთი სურვილით შეპყრობილნი ჩვენი უდარდელი და ხშირათ ღირსათ ცნობილი ულირსი „ინტელიგენტი“ საჭიროთ და სასარგებლოთ ვერ ჩათვლიდენ, შეძლებისა და გვარათ ხალხის ყოფა-ცხოვრების საყურადღებო მიზეზების გაცნობასა და გამოკვლევას. ესენი თავიანთი მოუმზადებლობისა და უნიჭობის გამო, სრულიად უყურადღებოთ ტოვებდენ რეფორმებს შემდეგ ჩვენს ცხოვრებაში დატრიალებულს მრავალმნიშვნელოვან ეკონომიურ განწყობილებას. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი ინტელიგენტნი“ წარმოდგენითაც ვერ იცნობდენ და, მაშასადამე, ვერც მეცნიერულათ გამოარკვევდენ ჩვენს დარღვეულ გლეხთა და იმათ ნაბატონართა და სხვა გარეშე გლეხთა წრეებს შორის დამყარებულ საადგილი-მამულო ურთიერთობასა და განწყობილებას...

მხოლოთ ზოგი იმათგანი, ხანდისხან მოიწერებოდენ ხოლმე კორრესპონდენციებს, სადაც ყბათ აღებულ შკოლებზე იყო საუბარი. ისინი ხშირათ დაწვრილებით აწერდენ ჩვენი დალოცვილი ქვეყნის რომელიმე სოფლის გეოგრაფიულ მდგომარეობას, „შვენიერ ბუნებას“, რომელსაც, თურმე ნუ იტყვით, ტურფათ და ნაზათ მოურთავს ტყე-ველი, მთა-ბარი, წყალი და ჰაერი, ქალი და ვაჟი. ამათ უეჭველია, არ ესმოდათ, რომ უსარგებლოა და სირცხვილიც გონიერი კაცისათვის ასეთი დროს გატარება, „ვარდისა და ბულბულზე“ კვნესა, გაკაშკაშებული ვარსკვლავებისა და ლაჟვარდი ცის შექება, მაშინ, როდესაც შენს გვერდზე შენი თანა-მემამულე, მშობელი ერის უმრავლესობა სისაწყლეს ჩაუთრევია, ლუკმა-პურს მოკლებულია და გამწარებულ განსაცდელით სავსე ცხოვრებას სისხლითა და ოფლით შესვრილი ხელებით ებრძვის. რუსის პოეტი თუ არ ვცდები, მართალია, როდესაც ამბობს:

„Стыдно въ годину горя
Красу природы, небесъ, моря
И красу милой воспѣвать“...

იმათ არ ესმოდათ-მეთქი ახლანდელი ცხოვრების სინამდვილე, თუ რა ღრმა ფიქრებსა და მწარე შრომას მოითხოვდა საერო საქმეებში ჩარევა საზოგადო მოღვაწისაგან და, მოგეხსენებათ, ვინც არ იცის, იმას ეპატიება, შეენდობა, რამეთუ არა იციან, რასა იქმნან.

მხოლოთ ამას კი ვიტყვით აქ, რომ ვისაც ამ ქვეყნათ მოძმეთათვის ერთი გამოსაყენებელი და კეთილი საქმე არ გაუკეთებია, იგი, რაც უნდა თვალის მომჭრელი „დიპლომით“ იყოს შუქფენილი, მაინც ველურათ გაზდილ ცხოველსავით უნიადაგოთ და უგანაჩენოთ მოკვდება ხალხისა და ისტორიის ხსოვნისათვის...

მოეშორდეთ ამ ჩვენ თავმომჭრელსა და უბადრუკ ადამიანთა ბრბოს და თვალი ჩვენი მივაპყრათ მხოლოთ გონება-განვითარებულ იმ ორიოდე ჩვენს საზოგადო მოღვაწეს, რომელთა გული, დიდი ხანია, გულ-წრფელათ მტკივნეულობს ჩვენი ხალხის ვარამისა და დარდისაგან. ეს ქვეყნის ჭირის-უფალნი და პატიოსანი მოღვაწენი, რომელთაც შეიგნეს საგანი თავიანთი ცხოვრებისა, მზათ არიან თავი დადვან ვალდებულების მადლიანათ შესრულებაზე, თანაგრძნობით გამსჭვალულან, რომ ჩვენი ხალხის მდგომარეობა გაუმჯობესდეს და ეს კეთილ-წარმატებაზე დამყარებული ცხოვრება, საზოგადოთ, ქვეყნის წარმატებას ემსახურებოდეს. მაგრამ ეს დღემდის სხტათ დარჩენილი ამ ორიოდე მოღვაწეთა სურვილი და მეტათ კეთილ-შობილური თანაგრძნობაც მხოლოთ სურვილათ და თანაგრძნობათ-ღა რჩება... რატომ? იმიტომ, რომ ისინი, ერთი უძლიერესი მიზეზისაგან ვერ ახერხებენ სასურველათ თავიანთი გულის-თქმათა ცხოვრებაში გატარებას, ხალხის დასანახველათ პატიოსანი იდეალების ხორც-შესხმას, აქტიურ მოქმედებას. ცხოვრების მავნე პირობებს გზა შეუკრავს ამ ჩვენი საყვარელი მოღვაწეთათვის და გუინპლენივით მწარე და აუტანელს მდგომარეობაში არიან.

საფრანგეთის უკვდავ მამულიშვილს, ვიქტორ ჰიუგოს ერთ თავის ნაწარმოებში (L'homme qui rit) გამოუხატავს ერთი იშვიაში ბუნების ადამიანი, რომლის პირის სახეზე ცხოვრებას საშინელი ოპერაცია მოუხდენია... გუინპლენის არსება უფსკერო, ღრმა მწუხარებას მოუცავს, მაგრამ პირის სახე იმას მაინც უცინის. გუინპლენი გამწარებული მძულვარების გრძნობას შეუპყრია, მას უნდა დიდი ბრიტანიის პარლამენტში ინგლისისის არისტოკრატიის გაქვავებულ გულს საშინელი წყევა-კრულვისა და მუქარების თავ-ზარ-დამცემი სიტყვები ყუმბარებივით ერთხელ მაინც ესროლოს, რომ თვისი ღრმათ ნაგრძნობი ფიქრი და აზრები მთელ ქვეყანას მაინც ამცნოს, მაგრამ... იმის პირის სახე კვლავ ბრწყინვალებით იცინის, და... მხიარულობს...

ხომლელი

(შემდეგი იქნება)

## ვინ ვის წამებს ცილს?

ახალგაზრდობის ავ-კარგი, მისი აწმყო და მომავალი, მისი იდეალი, უმაღლესი მისწრაფების საგნები, საშუალებანი, რომელთა ხმარობს იგი საუკეთესო მერმისის მისაღწევათ — ყოველივე ეს უმთავრეს კითხვებს შეადგენს თითოეული ერის ცხოვრებაში. ამიტომაც ამ კითხვების გამორკვევას, მათზე მსჯელობას და სამართლიანი მსჯავრის დადგენას დიდი ყურადღებით ისმენს მკითხველი საზოგადოება. სხვათა შორის ამ კითხვებზე მსჯელობა ჰქონდა 1893 წელს ბ. მეველეს გაზეთ „ივერიაში“. განსაკუთრებული ყურადღების ღირსი აღნიშნული კითხვების შესახებ არის ბ-ნ მეველის აზრი ამაზე, თუ რა დამოკიდებულება უნდა არსებობდეს ქართველ და რუსეთის განათლებულ ახალგაზრდობას შორის. მით უფრო ყურადღების ღირსია ბ. მეველის აზრი, რომ ეს კითხვა დიდ-მნიშვნელოვანი კითხვაა, ჩემის აზრით — ეს ერთი; — მეორე — მით, რომ ავტორი გადაჭრილ პასუხს გვაძლევს ამ კითხვაზე. ეს პასუხი, როგორც მკითხველს ეხსოვნება, მდგომარეობს, აი, რაში: თუმცა ავტორის აზრით ჩვენი ცხოვრების მსვლელობა ბევრათ არი დამოკიდებული რუსეთის ცხოვრებაზე, მაგრამ ერთი მხრით ამასთან იმდენი განსხვავებაცაა მათ შორის, რომ შეუძლებელი და თანაც მავნებელი იქნება, საერთო რამ იქონიოს რუსეთის ახალგაზრდობასთან (განსაკუთრებით პოლონელ, ოსტზეელ, ფინელ და მცირეროსიელ ახალგაზრდობასთან?!.). ეს აზრი იმდენათ ცხადათ და შეურყევლათ არი გატარებული წერილში, რომ მკითხველი ყოველ ეჭვს გარეშე რჩება ავტორის პასუხის შესახებ. ამიტომაც, როცა „კვალის“ მე-25-ე №-ში წავიკითხე ის ადგილი ბ. ჟორდანიას წერილისა, სადაც იგი ამბობს: „ივერიას“ არა ერთხელ გაუცხადებია, რომ ჩვენ სრულიად არ გვაინტერესებს ის, რაც რუსეთის ახალგაზრდობას ამოძრავებს“ო და თანაც, ამ აზრის დასამტკიცებლათ მოყავს ბ. მეველის მეთაურიდან შემდეგი ადგილი: „ვისურვებთ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა საფუძვლიანათ ჩაუფიქრდეს და ასწონოს ისა, თუ რა ძირითადი განსხვავება არსებობს რუსეთის განათლებულ თაობასა და ქართველ განათლებულ თაობას შორის“ო. ჩვენ ამით ერთხელ კიდევ მოგვეცა შემთხვევა დავრწმუნებულიყავით, რომ ბ. მეველის მეთაური წერილი რიგიანათ გვქონდა შეგნებული.

ასე ვფიქრობდით ჩვენ, სანამ ბ. შრომანის „მცირე შენიშვნას“ წავიკითხავდით „ივერიის“ 151 №-ში. ამ შენიშვნის წაკითხვას შემდეგ კი ეჭვში შევვედი და დავეკითხე თავს: ნუ თუ შევცდი და მართლა სრულიად მისი წინაამდეგი ამოვიკითხე ბ. მეველის მეთაურში და თუ მაინც და მაინც

შევცდი მე, უბრალო მკითხველი, რათა შეცდა ბ. ჟორდანია, რომელიც ვალდებულია ჯერ კარგათ გაიგოს მოპირდაპირის აზრი და მერე წეროს მაზე-თქო? ან და შეიძლება ბ. ჟორდანიას მხრივ ეს არც აჩქარების და არც გაუგებრობის ბრალი არ იყოს? შეიძლება მან მართლა განგებ გადაასხვაფერა ბ. მეველის აზრი? ამ კითხვებმა მე იმდენათ გამიტაცეს, რომ გადავწყვიტე გამომენახა „ივერიის“ 134 ნომერი, ხელ-ახლა წამეკითხა ბ. მეველის მეთაური და დავრწმუნებულიყავ ვისკენ იყო სიმართლე. სიტყვა და საქმე ერთი გავხადე: ვიშოვე ეს წერილი, გადავიკითხე რამოდენიმეჯერ იგი და მეტათ გაკვირვებული დავრჩი. მიზეზი გაკვირვებისა ის შეიქნა, რომ ვერ გავიგე და, ვგონებთ, შეუძლებელიცაა გაგება, თუ საიდან დაასკვნა ბ. შროშანმა, ვითომც ბ. ჟორდანიასაგან გადასხვაფერებული იყოს ბ. მეველის აზრი?! რომ ჩვენი გაკვირვება უადგილოთ არავინ ჩათვალოს, მოვიყვან აქ რაც შეიძლება ბ. მეველის წერილს და შეძლების და გვარათ გავარჩევ მას. ეს საჭიროთ მიგვაჩნია მით უმეტეს, რომ ალბათ არა ერთი მკითხველი გააკვირვა ჩემებრ ბ. შროშანის შენიშვნამ.

ბ. მეველე თვის მეთაურს იწყებს მით, რომ მოყავს რუსეთის საზოგადოების შეხედულება იქაურ თანამედროვე ახალგაზდობაზე. ავტორის სიტყვით ეს საზოგადოება იმ აზრისაა, რომ რუსეთის ახლანდელ ახალგაზდობას არა აქვს იდეალი, უმაღლესი მიზნები. იგი სულ დაწვრილმანებულია და გმნაზიიდანვე იმას ოცნებობს, როგორი იდეალი იშოვოს, რომ მომეტებული შემოსავალი ექნეს.

რუსეთის საზოგადოების ასეთი შეხედულების თანახმა ბძანდება თვით ბ. მეველე და თანაც განმარტებს იგი, თუ რა არი მიზეზი თანამედროვე ახალგაზდობის დაქვეითებისა რუსეთში. ავტორის აზრით ეს მიზეზი თვით რუსეთის ახლანდელ ცხოვრებაშია დამარხული.

„როდესაც მწერლობა მთელის ქვეყნისა, მეცნიერება და საზოგადო აზრი ფრთებს შეიკვეცს და მაღალი სივრციდან ჩამოეშვება და ჭაობებში ნავარდს დაიწყებს, მაშინ განკერძოებით ახალგაზდობისთვის ბრალდებითის ოქმის შედგენა: „იგი დამცირდა და დაუძლურდაო, უსამართლო და უსაფუძვლო“აო, გვეუბნება ბ. მეველე. როგორც ხედავთ, აქ ავტორისთვის სადაო აღარა არის რა: არც უიდეალობა და დაწვრილმანება რუსეთის ახალგაზდობისა და არც მიზეზი ამ მოვლენისა.

ახლა ვიკითხოთ, რა მიზნით აღძრა ბ. მეველემ ეს კითხვა? რასაკვირველია მხოლოთ იმ მიზნით, რომ მას გამოეთქვა თავისი შეხედულობა მაზე, თუ რამდენათ შეეხება რუსეთის საზოგადოებისაგან დადგენილი ბრალდებითი ოქმი და სასტიკი განაჩენი ქართველ ახალგაზდობას? აქვს თუ არა ამ უკანასკნელისთვის რაიმე მნიშვნელობა იმ იდეალს, რომელსაც ასე მოკლებულია (ავტორის სიტყვით) რუსეთის ახალგაზდობა და რომლის დამცირების გამო ასე დრტვინავს და გოდებს რუსეთის საზოგადოება. ეს ცხადათა ჩანს ბ. მეველის მეთაურის შემდეგი ადგილიდან: „ახალთაობის მიმართ საყვედურს თუ რაიმე საფუძველი აქვს მოსკოვსა და პეტერბურგში, ამ ნაირივე საფუძველი უნდა ჰქონდეს (მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას სიტყვებზე „უნდა ქონდეს“) ჩვენშიაც, რადგან ჩვენი ცხოვრების ვითარება და პროგრესის მსვლელობა ბევრათ დამოკიდებულია რუსეთის ცხოვრებაზე“.

ამ ადგილის წამკითხველს სრული უფლება აქვს იფიქროს, რომ ავტორს დიდ-მნიშვნელოვან საგნათ უნდა მიაჩნდეს ჩვენი ახალგაზდობისთვისაც ის იდეალი, რომელიც მისი სიტყვით ასე დაწვრილმანებია დღეს რუსეთის ახალგაზდობას, რომ მისი დამცირება ჩვენ საზოგადოებაშიაც ისეთსავე დრტვინვას და გოდებას უნდა იწვევდეს, როგორც იქ რუსეთში, მაგრამ მკითხველი ხედავს, რომ აჩქარებულა, აკვირდება რა შემდეგ ადგილს: „ვისურვებთ, რომ ჩვენი ახალგაზდობა საბუთიანათ ჩაუკვირდეს და აწონოს ისა, თუ რა ძირითადი განსხვავება არსებობს რუსეთის განათლებულ თაობასა და ქართველ განათლებულ თაობას შორის. რაც შეუძლია და შეშვენის დიდ ოჯახს, პატარა ოჯახი იმას ვერ იტანს და ახირებულიც იქნება ისეთი პრეტენზია დიდ-კაცობაზე პატარისაგან. რუსეთს, როგორც დიდს და დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ყოველ წლობით შეუძლია ათასი და ათი-ათასი კაცი ისეთ საგნებს და განზრახვებს მოახმაროს, რომელიც ერის ცხოვრებაში სრულიადაც არ არი არსებითი საგანი. მაგრამ ესევე არ შეუძლია პატარა საქართველოს, რომელიც ჯერ ყოველ დღიურ ვარამზე (და არა რაღაც იდეალებზე, არა ბ. მეველე?) უნდა იზრუნოს“.

რაში უნდა გამოიხატოს ამ ყოველ დღიურ ვარამზე ზრუნვა ქართველი ახალგაზდობის მხრივ? მასში, რომ მან შეისწავლოს აწმყო და წარსული თვისი ქვეყნისა, დაიცვას სამშობლო ენა და სხვა...

როგორც ხედავთ, თუმცა მართალია, ბ. მეველე სრულიად არა ჰყოფს უარს, რომ ჩვენი ცხოვრების ვითარება რუსეთისაზე არი დამოკიდებული, მაგრამ აქედან მას სრულიადაც არ გამოყავს ის დასკვნა, ვითომ ეს დამოკიდებულება ჩვენ ახალგაზდობას ვალდებულათ ხდიდეს, რათა მან აქტიური მონაწილეობა მიიღოს რუსეთის ახალგაზდობის ცხო-

ერებაში. პირ-იქით იგი მსგავსებასთან ერთათ უძირითადეს განსხვავებაზე გვითითებს. ეს ძირითადი განსხვავება მდგომარეობს მაში, რომ რუსეთი დამოუკიდებელია, ჩვენი ერი კი დამოკიდებული; რუსეთი ბევრია, ჩვენ კი ცოტანი ვართ. და რაკი ასეთი განსხვავებაა ჩვენსა და რუსეთის ცხოვრებას შორის, მაშ მისწრაფების და ზრუნვის საგნებიც სხვა-და-სხვა უნდა იყოს. ამიტომაც ბ. მეველეს აზრით რუსეთის ახალგაზდობას შეუძლია იქონიოს რაღაც იდეალი და მიისწრაფოდეს მისკენ; ამისათვის მას ძალაც შესწევს: რა უშავს, რომ რუსეთისთანა დიდმა სახელმწიფომ არა არსებით საგნებს ათასი და თუნდა ათი-ათასი განათლებული პირი შესწიროს? (ცხადია, რომ ბ. მეველეს უმაღლესი იდეალისათვის ბრძოლა არა არსებით საგნათ ჰგონია) ჩვენ კი ღმერთო გვაშორე ასეთი გატაცება იდეალით, გამოკიდება ასეთი უმნიშვნელო საგნებისა.— მაშ რა უნდოდა დაემტკიცებია ბ. მეველეს მით, რომ ჩვენი და რუსეთის ცხოვრების მსგავსებაზე მიგვითითა? ჩვენის აზრით მხოლოდ ის, რომ არ ვინ იფიქროს, ვითომც ავტორი ყოვლის მხრით არ სინჯავს აღძრულ კითხვას. მან სხვაზე კარგათ იცის, თუ რა დამოკიდებულებაა ორ ცხოვრებას შორის, მაგრამ მისთვის მაინც შეურყეველი ჭეშმარიტებაა, რომ ჩვენმა ახალგაზდობამ არაფითარს შემთხვევაში ხელი არ უნდა გაუწვდინოს რუსეთის ახალგაზდობას საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობის დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველი ახალგაზდობა შემცოდე იქნება ერისა და სამშობლოს წინაშე. თუ ზემონათქვამს დაუმატებთ იმასაც, რომ ის იდეალი, რომლის დამცირებას სასოწარკვეთილებამდის მიუყვანია რუსეთის საზოგადოება, ბ. მეველეს თვით რუსეთის ახალგაზდობისათვისაც კი არ არსებით საგნათ ჩაურიცხავს, ვგონებ, სადაო აღარ უნდა იქნეს, თუ რის დამტკიცება სურდა ავტორს. მართლაც, თუ კი ავტორისაგან ნაჩვენები განსხვავება შეუძლებლათ ხდის ჩვენი და რუსეთის ახალგაზდობის დაახლოებას უმთავრესი კითხვების გადაწყვეტაში, რაღა უნდა ჰქონდეს საერთო ამ ორ ახალგაზდობას, როცა საქმე რაღაც არა არსებით საგნებზე მიდგება.

ქართველი მკითხველი

(დასასრული იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

# განცხადებანი

თფილისის ყველა წიგნების მაღაზიაში და დემურის ლიტოგრაფიაში იყიდება მ. თოიძის დახატული სურათები: ილია ჭავჭავაძის —25 კ. და შოთა რუსთაველის—20 კ.

---

გუბერნიის აქიმი ტ. ს. ქიქოძე გადავიდა ძველი არსენალის ქუჩაზე ახალი სასამართლოს პირდაპირ.

---

## ქართული წიგნების გამოცემაზე.

ამ წლის შემოდგომიდან ვიწყებთ ჩვენ ქართული საყმაწვილო და სახალხო წიგნების გამოცემას. ჩვენი მიზანია—მივაწოდოთ ქართველ საზოგადოებას და მოზარდ თაობას იაფი და ადვილ-გასაგები ენით დაწერილი უკეთესი თხზულებანი ყველა საგნიდან და მეცნიერებიდან. წიგნები იქნება უხვათ დასურათებული და უკეთეს ქაღალდზე დაბეჭდილი. თვეში გამოვა არა ნაკლებ თითო წიგნისა და ზოგჯერ ორი ორიც. იმედი გვაქვს, რომ ქართველი საზოგადოება ხელს მოგვიმართავს ამ ახალ საქმეში და შეგვაძლებინებს კეთილათ დავაგვირგვინოთ იგი.

ფასი გამოცემისა და თვითონ წიგნების სახელები გამოცხადებული იქნება თავის დროზე.

ავტორების საყურადღებოთ. ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ჩვენ მიერ დაწყებულ საქმეში ვთხოვთ მოგვაწოდონ ხელ-ნაწერები ცალკე წიგნებათ გამოსაცემათ: ხელ-ნაწერები უნდა იყოს: პატარებისთვის—არა უმეტეს 2—6 ჩვეულებრივი თაბახისა და ისე დაწერილი, რომ შეიძლებოდეს აღწერილის დასურათება, და დიდებისთვის— არა უმეტეს 6—8 თაბახისა. ყველა ავტორი მიიღებს ჩვენგან 2—3 კაპეიკსა ყოველ დაბეჭდილ სტრიქონში. თუ საჭირო იქნება, ხელ-ნაწერს შევასწორებთ და შევამოკლებთ. ვისაც ჰსურს, შეუძლია დაგვეკითხოს, თუ რა წიგნი შეადგინოს ანუ გადათარგმნოს. თუ არ მოეპოება რომელიმე წიგნი, შეუძლია ჩვენგან და იბაროს. ეს წიგნები მთხოვნელს გაეგზავნება ფასდადებულ ამანათით. პასუხისთვის ვთხოვთ გამოგზავნონ 7 კაპეიკიანი მარკა.

ჩვენი ადრესი: Въ г. Тифлисъ, Ивану Павловичу Ростомову.

ი. როსტომაშვილი.

Доз. ценз. Тифлисъ 2-го Сентября 1895 г. (§) Тип. М. Д. Ротиніанца (სტამბა, მ. დ. როტინიანცისა) Гол. пр., 41